



სარჩელი სამომალაქო საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: 006003365-1

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952676 პირადი (საიდენ.) ნომერი	თბილისი, 0179, ფალიაშვილის 27/29, ბინა 13 ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)	006003365-2	
ალტერნატიული მისამართი 006003365-3		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	2 29 27 73 სამსახურის ტელ.	მობილური	2 22 38 74 ფაქსი	greenalt@greenalt.org ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: 006003365-4

ნინო გუჯარაიძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	01015010047 პირადი ნომერი	თბილისი, 0179, ფალიაშვილის 27/29, ბინა 13 ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	2 29 27 73 სამსახურის ტელ.	მობილური	599 90 25 20 ფაქსი	2 22 38 74 ngujaraidze@greenalt.org ელექტრონული ფოსტა

მოკასუსი: 006003365-5

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ილია ელოშვილი სახელი, გვარი (სახელწოდება)	01024003660 პირადი (საიდენ.) ნომერი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, თბილისი, სანაპიროს ქ. 2	006003365-6	
ყაზბეგი ს. ქუმლისციხე, თბილისი, ულიანოვის მე-3 შესახვევი, #5 ალტერნატიული მისამართი		საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, თბილისი, სანაპიროს ქ. 2 სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	2 35 78 05 სამსახურის ტელ.	მობილური	599 09 88 26 ფაქსი	2 35 78 28 I.Elshvili@menr.gov.ge ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: 006003365-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა	006003365-8
---------------	-------------	----------	-------------------	-------------

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიშნო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გათვალისწინეთ! თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან ადვოკატს, წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი. აღნიშნული მონაცემების მიუთითებლობის შემთხვევაში სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე და დაგებრუნებთ სარჩელს, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი **შპ60 3365-9**

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შპ60 3365-10

დავის საბანი

შპ50 3365-11

საქმიანი რეპუტაციის დაცვა შელახვისგან, მორალური ზიანის ანაზღაურება.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს იურიდიულ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

შპ60 3365-12

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" დაარსდა 2000 წელს. "მწვანე ალტერნატივას" მისიაა ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების გზით, საქართველოს გარემოსა და ქვეყნის უნიკალური ბიოლოგიური თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა. ორგანიზაცია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას; მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშეწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას; ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობას.

2013 წლის 19 სექტემბერს 14:05:15 საათზე რადიო კომერსანტთან მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა ჟურნალისტის კითხვაზე: -

- „ხუდონჰესთან“ დაკავშირებით „მწვანე ალტერნატივაში“ აცხადებენ, რომ ხაიშის მოსახლეობას საკუთარი მოთხოვნები აქვს და მათ დაკმაყოფილებამდე განხილვებში მონაწილეობას არ მიიღებენ. როგორ ჩაიარა პირველმა საჯარო განხილვამ და რეალურად რა არის პროექტის სარგებელი? უპასუხა:

- „მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. პირველად მოხდა, როცა ასე ღიად და საჯაროდ ჩამოვიდა ინვესტორი და მოსახლეობას წარუდგა. რა თქმა უნდა, ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტი. რაც შეეხება იმას, რომ მოსახლეობას გარკვეული მოთხოვნები აქვს, ეს ბუნებრივია. 30 წელია ეს ხალხი გაურკვევლობაში ცხოვრობს. ამიტომ აინტერესებთ რა ბედი ეწევათ.

. . . ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, დღეს რომ თავს იდებენ, ნუ ჩაერევინ, თორემ ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით, ვიცით ვის რა ინტერესები ამოდრავებს. ჩვენ ეკლესიასაც ძალიან დიდი პატივს ვცემთ და იმ საფლავებსაც. შესაბამისად, ჩვენ გვინდა ამ ხალხთან დიალოგი და ამაში წინ ვერავინ ვერ დაგვიდგება.

– საუბარია, რომ ეს კომპანია დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში და მსხვილი პროექტების განხორციელების გამოცდილება არ აქვს. „საერთოდ არ აქვს აშენებული ერთი მაღაზიაც კი“ – აცხადებს „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი.

– უკაცრავად, მაგრამ რატომ ნერვიულობს დავით ჭიპაშვილი, ეს კომპანია შეძლებს თუ არა პროექტის განხორციელებას? ეს კომპანია თუ ვერ შეძლებს დაფინანსების მოტანას, თუკი ვერ წარმოადგენენ კვალიფიციურ კომპანიებს, რა თქმა უნდა ისინი გავლენ და სხვა შემოვა.რა პრობლემაა? . . . ინვესტორის სანერვიულოს სხვები რატომ ნერვიულობენ. ეს არ მესმის - პასუხობს მინისტრის მოადგილე.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის მოადგილემ ილია ელოშვილმა ზემოაღნიშნული ინტერვიუს საშუალებით მიზანმიმართულად გაავრცელა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სახელის გამტეხი და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცილისმწამებლური ინფორმაცია, რის გამოც ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოს წარმოუდგენს წინამდებარე სამოქალაქო სარჩელს.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

მშპ 03363-14 მშპ 03363-15 მშპ 03363-16

1. ფაქტობრივი გარემოება

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მისიაა:

- საქართველოში მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება;
- საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით სფეროში;
- გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელება;
- ადამიანის უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- გარემოსდაცვითი იდეების პოპულარიზაცია საზოგადოების ფართო მასებში;
- საზოგადოებრივ-საინფორმაციო კამპანიების წარმოება, ლობირება და საზოგადოების ინტერესების დაცვა;
- გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროებში;
- სუფთა ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

მტკიცებულება:

ა. დანართი # 1. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წესდება.

2. ფაქტობრივი გარემოება

დაარსების დღიდან, ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოში. მუშაობს ბიომრავალფეროვნებასთან, ენერგეტიკასთან, კლიმატის ცვლილებასთან და სიღარიბის დაძლევის დაკავშირებულ საკითხებზე. ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში, ორგანიზაციის სამუშაო არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ამჟამად ორგანიზაცია მუშაობს ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის, ხე-ტყის არალეგალური ჭრის და ველური ფლორისა და ფაუნის ნიმუშებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთის მიმართულებით. ზოგადად კი, გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების სრულფასოვანი ჩართვის ხელშეწყობისთვის.

მტკიცებულება:

დანართი №2. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდი

3. ფაქტობრივი გარემოება

2001 წელს "მწვანე ალტერნატივამ" სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირვებელთა ქსელი.

2002 წლიდან "მწვანე ალტერნატივა" მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და

გარემოზე.

2006 წელს ასოციაციის ინიციატივით შეიქმნა ხე-ტყის უკანონო ჭრის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელი.

2011 წელს მწვანე ალტერნატივას ინიციატივით შეიქმნა „საქართველოს მწვანე ქსელი“.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა “გოლდმანის” გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით აღნიშნული კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის.

2005 და 2007 წლებში მწვანე ალტერნატივას მიენიჭა საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ეთიკის კოდექსის ვერცხლის ხუთი პრინციპის კავალერის წოდება.

მტკიცებულება:

დანართი #2. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდი.

4. ფაქტობრივი გარემოება

2013 წლის 19 სექტემბერს 14:05:15 საათზე რადიო კომერსანტზე ინტერვიუში საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა ჟურნალისტის კითხვაზე: - „ხუდონჰესთან“ დაკავშირებით „მწვანე ალტერნატივაში“ აცხადებენ, რომ ხაიმის მოსახლეობას საკუთარი მოთხოვნები აქვს და მათ დაკმაყოფილებამდე განხილვებში მონაწილეობას არ მიიღებენ. როგორ ჩაიარა პირველმა საჯარო განხილვამ და რეალურად რა არის პროექტის სარგებელი? უპასუხა: - - „მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. პირველად მოხდა, როცა ასე ღიად და საჯაროდ ჩამოვიდა ინვესტორი და მოსახლეობას წარუდგა. რა თქმა უნდა, ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტი. რაც შეეხება იმას, რომ მოსახლეობას გარკვეული მოთხოვნები აქვს, ეს ბუნებრივია. 30 წელია ეს ხალხი გაურკვევლობაში ცხოვრობს. ამიტომ აინტერესებთ რა ბედი ეწევათ. გარდა ამისა, აინტერესებთ რას სთავაზობს მათ კომპანია და რა ტიპის კომპენსაციები იქნება. ახლა მთავარია, რომ კონტრაქტორმა მსოფლიო ბანკის სტანდარტების მიხედვით განსახლების გეგმა განხორციელოს და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შესთავაზოს მოსახლეობას კომპენსაციები.

მტკიცებულება:

დანართი #3. 2013 წლის 19 სექტემბერს რადიო კომერსანტისათვის მიცემული ინტერვიუ, "ილია ელოშვილი: „მწვანე ალტერნატივა“ ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია"

5. ფაქტობრივი გარემოება

ჟურნალისტის კითხვაზე: - პროექტის მასშტაბების შემცირება თუ განიხილება? ილია ელოშვილმა უპასუხა: ჩვენ უნდა მივეჩვიოთ, რომ კაშხლის ზომა, ალტერნატივა და მსგავსი საკითხები სპეციალისტებმა გადაწყვიტონ. ... კაშხლის ზომა ვინმეს ბოროტებით კი არ დაუფეგმავს. ეს არის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. ამიტომ ასეთი ტონით საუბარი საჭირო არ არის. ჩვენ გვესმის მოსახლეობის გულისტკივილი, მაგრამ მეორეს მხრივ, არსებობს სახელმწიფოს ინტერესები. ... ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, დღეს რომ თავს იღებენ, ნუ ჩაერევინან, თორემ ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით, ვიცით ვის რა ინტერესები ამოძრავებს. ჩვენ ეკლესიასაც ძალიან დიდი პატივს ვცემთ და იმ საფლავებსაც. შესაბამისად, ჩვენ გვინდა ამ ხალხთან დიალოგი და ამაში წინ ვერავინ ვერ დაგვიდგება.

მტკიცებულება:

დანართი №3. 2013 წლის 19 სექტემბერს რადიო კომერსანტისათვის მიცემული ინტერვიუ, "ილია ელოშვილი: „მწვანე ალტერნატივა“ ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია"

6. ფაქტობრივი გარემოება

კითხვაზე: აპელირება ხდება იმასთან დაკავშირებით, რომ წინასაარჩევნოდ იყო საუბრები იმაზე, რომ მსხვილი ჰესები არ აშენდებოდა. კონკრეტულად „ხუდონჰესთან“ დაკავშირებით იყო დაპირებები, რომ პროექტის განხორციელება მხოლოდ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მოხდებოდა. ენერგეტიკის სამინისტროში მას შემდეგ პოლიტიკა გადაიხედა? ილია ელოშვილი პასუხობს:

– რა თქმა უნდა, მოსახლეობის ინტერესები გათვალისწინებული იქნება. საჯარო განხილვაზე თვითონ “მწვანე ალტერნატივა“ იყო, მისი წარმომადგენელი ძალიან გამაღიზიანებლად იქცეოდა. ეს ორგანიზაცია იყო იმ ჯგუფში, რომელმაც ამ პროექტის ცვლილებები შეიმუშავა და კონტრაქტორს მიაღებინა. არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა ჩართული იყო და ამისთვის ჩვენ მაღლობლები ვართ. რაც შეეხება ამ ადამიანების ინტერესებს, მათი ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, ამას პრემიერ-მინისტრიც ამბობს. ამ ადამიანებს წინა მთავრობის პირობებში რა ბედი ეწეოდათ, წარმოგიდგენიათ? სახელმწიფოს ჰუმანურობა არ უნდა მივიღოთ სახელმწიფოს სისუსტედ. დაშინების და მუქარის ენით სახელმწიფოსთან ვერავინ ვერ ილაპარაკებს, ეს გამორიცხებულია. ეს უნდა გაითვალისწინოს გინდა სამთავრობომ, გინდა არასამთავრობომ.

მტკიცებულება:

დანართი №3. 2013 წლის 19 სექტემბერს რადიო კომერსანტისათვის მიცემული ინტერვიუ, "ილია ელოშვილი: „მწვანე ალტერნატივა“ ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია"

7. ფაქტობრივი გარემოება

ჟურნალისტის კითხვაზე: – საუბარია, რომ ეს კომპანია დარეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში და მსხვილი პროექტების განხორციელების გამოცდილება არ აქვს. „საერთოდ არ აქვს აშენებული ერთი მაღაზიაც კი“ –აცხადებს „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი. ილია ელოშვილი პასუხობს:

– უკაცრავად, მაგრამ რატომ ნერვიულობს დავით ჭიპაშვილი, ეს კომპანია შეძლებს თუ არა პროექტის განხორციელებას? ეს კომპანია თუ ვერ შეძლებს დაფინანსების მოტანას, თუკი ვერ წარმოადგენენ კვალიფიციურ კომპანიებს, რა თქმა უნდა ისინი გავლენ და სხვა შემოვა. რა პრობლემაა? თუმცა ამ კომპანიას 28 მილიონი აქვს უკვე დახარჯული კვლევებში და ყოველ წელიწადს 600 000 დოლარს იხდის მიწის საფასურს ადგილობრივ ბიუჯეტში. ასე ხელი კრა იმიტომ, რომ დათო ჭიპაშვილს რაღაც არ მოწონს? უკაცრავად, მაგრამ ჩვენ ასე არ ვმოქმედებთ. ჩვენ ამ კომპანიას გავუგრძელებთ ვადა იმისთვის, რომ ყველა კვლევა დაასრულოს, შეკრას დაფინანსება და გააგრძელოს პროექტი. ინვესტორის სანერვიულოს სხვები რატომ ნერვიულობენ. ეს არ მესმის.

მტკიცებულება:

დანართი №3. 2013 წლის 19 სექტემბერს რადიო კომერსანტისათვის მიცემული ინტერვიუ, "ილია ელოშვილი: „მწვანე ალტერნატივა“ ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია"

რომელ სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება თქვენი დავა?

<input type="checkbox"/> სანივთო სამართლებრივს	<input type="checkbox"/> სამეწარმეო სამართლებრივს
<input type="checkbox"/> ვალდებულებით სამართლებრივს	<input type="checkbox"/> შრომის სამართლებრივს
<input type="checkbox"/> ინტელექტუალურ საკუთრებას	<input checked="" type="checkbox"/> პირად არაქონებრივს
<input type="checkbox"/> საოჯახო სამართლებრივს	სხვა

რატომ მიმართავთ სწორედ ამ სასამართლოს?

აღნიშნული სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის არეალში მდებარეობს:

<input checked="" type="checkbox"/> მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი	<input type="checkbox"/> მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელი
<input type="checkbox"/> მოპასუხის ადგილსამყოფელი	<input type="checkbox"/> მოთხოვნის უზრუნველმყოფი ნივთი
<input type="checkbox"/> მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი	<input type="checkbox"/> უძრავი ნივთი
<input type="checkbox"/> ხელშეკრულების შესრულების ადგილი	<input type="checkbox"/> მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი
<input type="checkbox"/> ადგილი, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო	<input type="checkbox"/> მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი
<input type="checkbox"/> თურიდიული პირის ფილიალი	<input type="checkbox"/> ბავშვის საცხოვრებელი ადგილი
<input type="checkbox"/> მამკვიდრების გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილი	<input type="checkbox"/> მშვილბლის საცხოვრებელი ადგილი
<input type="checkbox"/> მამკვიდრების უკანასკნელი საცხოვ. ადგილი საქართველოში	<input type="checkbox"/> გასამვილებელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილი
<input type="checkbox"/> სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი	სხვა

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შპ607შპ6A-17 შპ607შპ6A-18 შპ607შპ6A-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

დაევალოს ილია ელოშვილს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის - „მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთვნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია - უარყოფა ინტერვიუს მიცემის გზით იმავე საინფორმაციო საშუალების - რადიო "კომერსანტის" საშუალების გამოყენებით.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა 2013 წლის 19 სექტემბერს 14:05:15 საათზე რადიო "კომერსანტ"-თან მიცემულ ინტერვიუში მიუთითა ცილისმწამებლური, სახელის გამტეხი ინფორმაცია, რამაც უკანონოდ შელახა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, შესაბამისად, განსახილველი დავა უნდა გადაწყდეს სპეციალური კანონით – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად "ცილისწამებად" ჩაითვლება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით უდავოდ არის დადგენილი, რომ მოპასუხემ სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტები გაავრცელა, ანუ :

- ა) მოპასუხემ სწორედ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;
 - ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;
 - გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.
- მაშასადამე, სახეზეა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ილია ელოშვილის

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაცვისრების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

2. სასარჩელო მოთხოვნა

დაევალოს ილია ელოშვილს მოპასუხის - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 1 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა 2013 წლის 19 სექტემბერს 14:05:15 საათზე რადიო კომერსანტთან მიცემულ ინტერვიუში მიუთითა ცილისმწამებლური, სახელის გამტეხი ინფორმაციები, რამაც უკანონოდ შელახა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, შესაბამისად, განსახილველი დავა უნდა გადაწყდეს სპეციალური კანონით – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად "ცილისმწამებად" ჩაითვლება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისმწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით უდავოდ არის დადგენილი, რომ მოპასუხემ სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტები გაავრცელა, ანუ :

ა) მოპასუხემ სწორედ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;

ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;

გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

მაშასადამე, სახეზეა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ილია ელოშვილის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაცვისრების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შპ60/შპ6A-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შპ60/შპ6A-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შპ60/შპ6A-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შპ60/შპ6A-23

სხვა სახის შუამდგომლობები

შპ60/შპ6A-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ

ვის?

რომელი ენის მცოდნე?

არა

...

სარჩელის ფასი

შპს-03363-25

— არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი

შპს-03363-26

— 120 ღარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადებოზიტო ანგარიშზე: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01.

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შპს-03363-27

ეცადეთ თუ არა სასამართლოსათვის მომართვამდე დავა თავად მოგვეგვარებინათ?

დიახ რა ფორმით?

არა

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომაზე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია

შპს-03363-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე მეტად მნიშვნელოვანია მხარისათვის.

შპ60/შპ65-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან ეს დრო დასჭირდება მხარის პოზიციის წარმოდგენას.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

0 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დავის დასრულება გონივრულია.

შპ60/შპ65-30

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 14:00 - 18:00

ხართ თუ არა დადგენილი წესით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებთ თუ არა საარსებო შემწეობას?

დიახ

კთხოვთ, დაურთოთ მტკიცებულება.

არა

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ65-31

თანდართული საბუთების ნუსხა

შპ60/შპ65-32 შპ60/შპ65-33

დანართი # 1. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წესდება - 7 ფურცელი;

დანართი #2. ამონაწერი მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდიდან - 2 ფურცელი;

დანართი #3. 2013 წლის 19 სექტემბერს რადიო კომერსანტისათვის მიცემული ინტერვიუ, "ილია ელოშვილი: „მწვანე ალტერნატივა“ ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია" - 2 ფურცელი;

დანართი # 4. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან - 2 ფურცელი;

დანართი # 5. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი

დანართი #6. რწმუნებულება - 1 ფურცელი

ფურცლების საერთო რაოდენობა:

15

სარჩელის ფორმალური გამართულობა

სარჩელის სასამართლოში შეტანისას სასამართლოს კანცელარია ამოწმებს სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს და ახდენს სარჩელის რეგისტრაციას. თუ სარჩელი არ შეესაბამება ქვემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს, სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე და დაგიბრუნებთ სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

		დაახ	არა
1.	სარჩელი წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ტელეფონის ნომერი*, ელექტრონული ფოსტა*.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	მითითებულია მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი*, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ტელეფონის ნომერი*, ელექტრონული ფოსტა*.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	მითითებულია ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან ადვოკატს, წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	მითითებულია სასარჩელო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.	სარჩელს თან ერთვის თანდართულ დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოდგენილია შუამდგომლობა დოკუმენტის წარმოდგენის გადავადების შესახებ), გვერდების რაოდენობის მითითებით.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14.	წარმოდგენილია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

* ვარსკვლავით აღნიშნული მონაცემის მითითება სასურველია

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

სასამართლოს კანცელარიის უარი სარჩელის რეგისტრაციაზე ხელს არ უშლის მოსარჩელეს განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აღმოიფხვრება რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება

თუ სარჩელი შეაქვს იურიდიული პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) ან სარჩელი შეტანილია იურიდიული პირის წინააღმდეგ, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება ფოსტის, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დასტური სასამართლოში წარმოადგინოს 2 თვის ვადაში.

ზემოთაღნიშნულ პირებს სარჩელის მოსამართლისათვის გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა მათ მიერ მითითებულ ტელეფონზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის გადაცემის თაობაზე.

ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

თუ მოსარჩელე 2 თვის ვადაში საქმის განმხილველ სასამართლოში არ წარადგენს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს ან შუამდგომლობას გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების შესახებ, სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

ზემოაღნიშნული წესები შესაძლებელია გავრცელდეს ნებისმიერ სხვა პირზეც, მათი თანხმობით.

ასეთ შემთხვევაში სარჩელს სასამართლო განიხილავს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან საჯარო შეტყობინებით მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 1,5 თვისა, 2 თვის ნაცვლად, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე – არა უგვიანეს 3,5 თვისა, 5 თვის ნაცვლად.

...

მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების წესი

» გზავნილი მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან მოსარჩელისათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

» გზავნილი მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს პირადად.

» თუ გზავნილის ჩამბარებელმა მოპასუხე ვერ ნახა გზავნილში მითითებულ მისამართზე, იგი გზავნილს აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს.

» მოპასუხის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი გზავნილი უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს.

» გზავნილის მიმღები ვალდებულია გზავნილის ჩაბარებისას აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, ხოლო თუ გზავნილს იბარებს ოჯახის წევრი ან გზავნილი ჰბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით, მაშინ დამატებით უნდა მიეთითოს ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა, რაც დასტურდება გზავნილის მიმღების ხელმოწერით.

» ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

» თუ პირველად გაგზავნისას გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა, გზავნილი მას უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან მოსარჩელისათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

» თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას გააკეთებს გზავნილზე, რომელიც სასამართლოს უნდა წარედგინოს. ასეთ შემთხვევაში გზავნილი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული წესების დარღვევით ჩაბარებული გზავნილი არ ჩაითვლება ჩაბარებულად.

თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ. ამასთან, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს შუამდგომლობა გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების შესახებ და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

სსლომაზე გამოცხადების შედეგები

თუ არ გამოცხადდით სსლომაზე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თქვენს წინააღმდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 50-ე თავის შესაბამისად.

თუ სსლომაზე არ გამოცხადდით არც თქვენ და არც მოპასუხე მხარე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

ვალდებული ხართ, გამოცხადების მიზეზი სსლომის დაწყებამდე აცნობოთ სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს.

ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს. წარმომადგენელი ვალდებულია, მისთვის უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მოსარჩელეს.

წარმოადგინეთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

თუ თქვენ დაესწრებით გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თქვენთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნება გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის შესახებ და დააპირებთ გადაწყვეტილების გასაჩივრებას, შეგიძლიათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა აუდრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეთ სასამართლოში და ჩაიბაროთ გადაწყვეტილების ასლი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვრთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ასოციაცია მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	18/10/2013 წ.
ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი
შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოავაზნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.		